სამოქალაქო განათლების ტესტი

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. საქართველოს კანონმდებლობით ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:

ა) 5 წლის ასაკიდან;

ბ) 16 წლის ასაკიდან;

გ) დაბადების მომენტიდან;

დ) სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

(1) **2. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ძველი მონოთეისტური რელიგია?**

ა) იუდაიზმი;

ბ) ინდუიზმი;

გ) ბუდიზმი;

დ) ისლამი.

(1) **3. რას ნიშნავს რატიფიცირება?**

ა) ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ წერილობით მიმართვას მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამო;

ბ) პროცესს, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ადასტურებს მთავრობის მიერ საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერას;

გ) მოქალაქეთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვას კოლექტიური წერილობითი მოთხოვნით;

დ) სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის უფლებამოსილების გადაცემას.

(1) **4. რომელი ნიშან-თვისება *<u>არ ახასიათებს</u>* ტოტალიტარულ სახელმწიფოს?**

ა) ერთპარტიული პოლიტიკური სისტემა;

ბ) საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე კონტროლი;

გ) მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე ცენზურის აკრძალვა;

დ) სახელმწიფოს მართვა ხელისუფლების უკიდურესად ცენტრალიზებული ფორმით.

(1) **5.** რა ეწოდება საბიუჯეტო რეგულირების ერთ-ერთ ფორმას, რომლის დროსაც სახელმწიფო ფულად ან ნივთიერ დახმარებას უწევს ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს ან ცალკეულ პირებს?

ა) მონეტარიზაცია;

ბ) სუბსიდირება;

გ) დელეგირება;

დ) რეცესია.

(1) **6. რას ეწოდება ფისკალური პოლიტიკა?**

ა) ცენტრალური ბანკის მიერ შემუშავებულ მოქმედების გეგმას, რომლითაც ხდება ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა;

ბ) მთავრობის მხრიდან ეკონომიკური ინტერვენციის ფორმას, რომლის მიზანია საგადასახადო შემოსავლებისა და გასავლების რეგულირება;

გ) სახელმწიფოს ეკონომიკური სახსრების მობილიზების მექანიზმს, რომელსაც მთავრობა სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად იყენებს;

დ) ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ექსპორტის განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

(1) **7. სქემაზე მოცემულია საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების იერარქია. რომელი აქტი შეესაბამება კითხვის ნიშანს აღნიშნულ სქემაზე?**

ა) საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;

გ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

დ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება.

(1) **8.** რა ეწოდება საერთაშორისო ხელშეკრულების დამრღვევ სახელმწიფოზე ეკონომიკური ფინანსური, სამხედრო და სხვა ზემოქმედების მექანიზმების ერთობლიობას?

ა) სანქცია;

ბ) დონაცია;

გ) მანდატი;

დ) ლიკვიდაცია.

(1) **9. როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა, თუ იგი ტერიტორიული გაფართოების მიზნით ახორციელებს სამხედრო აგრესიას სხვა სახელმწიფოს მიმართ?**

ა) ექსპანსიონისტური;

ბ) ექსპროპრიაციული;

გ) კაპიტულანტური;

დ) პაციფისტური.

(1) **10. რა ეწოდება სახელმწიფო ბიუჯეტის დადებით მთლიან სალდოს?**

ა) სეკვესტრი;

ბ) დეფიციტი;

გ) პროფიციტი;

დ) ტრანსფერი.

(1) **11. ინფოგრაფიკა ასახავს 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობას საქსტატის მონაცემებით:**



ინფოგრაფიკის მონაცემების მიხედვით 2019 წელს:

ა) მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღემატებოდა ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, შესაბამისად, მეტი მამაკაცი ცხოვრობდა, ვიდრე ქალი;

ბ) მოსახლეობის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, რაც განაპირობა როგორც მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ, ასევე მიგრაციის დადებითმა სალდომ;

გ) 65 წელს გადაცილებულ ქალთა რაოდენობა აღემატებოდა როგორც ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცთა რაოდენობას, აგრეთვე 0-დან 65 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ქალთა რაოდენობას;

დ) 50 წლამდე მოსახლეობის წილი აღემატებოდა 50 წელს ზემოთ მოსახლეობის წილს, ხოლო მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ჩამორჩებოდა ქალის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას.

(1) 12. დავალებაში მოცემულია პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების 2015 წლის კვლევის შედეგები:

- ორგანიზაციების 53% თვლის, რომ პროფესიული დიპლომის ფლობა არ მეტყველებს კადრების კვალიფიკაციაზე. 24% ფიქრობს, რომ პროფესიული დიპლომის ფლობა მიუთითებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მაღალ კვალიფიკაციაზე. ორგანიზაციების 13% აზრით, პროფესიული დიპლომის ფლობა მიუთითებს მაღალ კვალიფიკაციაზე იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელი სახელმწიფოა და არა კერძო.
- გამოკითხულთა 49% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები არასათანადო დონეზე ფლობენ უცხო ენას; 48% პრობლემად ასახელებს დროის მენეჯმენტს; 47% კი მიიჩნევს, რომ კურსდამთავრებულებს უჭირთ სამუშაო რეჟიმთან ადაპტაცია.
- პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლის მიზეზად გამოკითხულები ასახელებენ ზოგადად სამუშაო ადგილების სიმცირეს (59%), სასწავლებლების ნაკლებ კავშირს შრომით ბაზართან (41%), პროფესიული სასწავლებლების პროგრამების დაბალ ხარისხს (27%), პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების დაბალ კვალიფიკაციას (8%).

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციის შესახებ არსებული სხვადასხვა შეხედულების მიუხედავად, დამსაქმებელთა უმრავლესობა კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალ მაჩვენებელს ზოგადად სამუშაო ადგილების სიმცირეს უკავშირებს;

ბ) დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს უჭირს სამუშაო რეჟიმთან ადაპტაცია, რაც მათი აზრით უშუალოდ განპირობებულია პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაციით;

გ) ორგანიზაციების უმრავლესობა მხოლოდ სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მაღალ კვალიფიკაციას ცნობს;

დ) დამსაქმებლების უმეტესობის აზრით კადრების კვალიფიკაციის ხარისხს სასწავლებელსა და შრომით ბაზარს შორის მჭიდრო კავშირი განაპირობებს.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **13. სქემაზე მოცემული საერთაშორისო ხელშეკრულებები დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მათი მიღების დროის მიხედვით:**

			3*	

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **14.** **რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს 2020 წლის მონაცემებით. I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული თავისუფლების ხარისხი:**



I. ქვეყნები	II. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი
ა) კანადა	1. დაბალი 2. ძალიან დაბალი 3. მაღალი 4. ძალიან მაღალი
ბ) ირანი	
გ) ინდოეთი	
დ) ავსტრალია	

(2) **15. II სვეტში წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციური ინსტიტუციები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ უფლებამოსილებებს:**

I. უფლებამოსილებები	II. ინსტიტუციები
ა) პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა; ბ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლებების დარღვევის საკითხების შესწავლა; გ) საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება; დ) კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება; ე) საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა.	1. პრეზიდენტი; 2. სახალხო დამცველი; 3. საკონსტიტუციო სასამართლო; 4. იუსტიციის უმაღლესი საბჭო; 5. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

(2) **16. I სვეტში წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ შესაბამის ორგანიზაციებს:**

I. ფუნქცია	II. საერთაშორისო ორგანიზაცია
ა) ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო; ბ) ევროკავშირის არჩევითი საკანონმდებლო ორგანო; გ) მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება, საერთაშორისო კოოპერაციის, მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა; დ) სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის ამოცანაა, მისი წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით; ე) ჰუმანიტარული მისიით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ადამიანებისაგან ტანჯვისა და ტკივილის აცილებას.	1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია; 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; 3. ევროპარლამენტი; 4. ევროკომისია; 5. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა.

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

თანასწორობა და კულტურული მრავალფეროვნება

თანასწორობის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელზედაც დაფუძნებულია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები. 1948 წელს ევროკომისიამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია“, რომელშიც ცალსახად არის ნათქვამი, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. პიროვნების ღირსება რელატიურ უფლებას წარმოადგენს, რომლის შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, რელიგიური თუ სოციალური კუთვნილების ნიშნით. 2014 წელს საქართველოს საკრებულომ მიიღო კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას.

თანასწორობის პრინციპი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ტოლერანტობის პრინციპთან. 1995 წელს გენერალური კონფერენციის სხდომაზე იუნესკომ მიიღო „ტოლერანტობის პრინციპთა პროტოკოლი“, რომელშიც განმარტებულია, რომ ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების,

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა.

საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა მონოეთნიკურია. ეთნიკურ უმცირესობათა შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენენ. საქართველოში ასევე ცხოვრობენ რუსი, ბერძენი და სხვა მოქალაქეები. საქართველოში განსხვავებული ლინგვისტური და რელიგიური მახასიათებლების კულტურულ ჯგუფებსაც ვხვდებით. მრავალფეროვანი ნიშან-თვისების მქონე ადამიანთა თანაარსებობა ერთ სახელმწიფოში მიანიშნებს ღია საზოგადოებაზე. მიუხედავად ღიაობისა, საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად მაინც არის გავრცელებული სხვადასხვა არქეტიპი, რაც ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის მიმართ ძალზე გამარტივებულ, განზოგადებულ და გაუთვითცნობიერებელ წარმოდგენებს ნიშნავს. ხშირად ეს წარმოდგენები ნეგატიურ აზრს ამკვიდრებს და ხელს უწყობს ადამიანთა რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციას. კულტურული მრავალფეროვნების მართვის პროცესში ზოგჯერ ვხვდებით ისეთ მოვლენასაც, როდესაც საზოგადოებაში განსხვავებული ნიშნის მქონე ესა თუ ის ჯგუფი სხვა ჯგუფთან სეგრეგაციას განიცდის, ანუ კარგავს საკუთარ თვითმყოფადობას, რაც მას გამოარჩევდა და შეეთვისება იმ ჯგუფს, რომელიც მასზე დომინირებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეესაბამებოდეს დავალების პირობას. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18.** სქემა არასრულად ასახავს ინფორმაციას პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

იდეოლოგია	ძირითადი იდეები შესაბამისი იდეოლოგიის ჭრილში	ცნობილი თეორეტიკოსი
18.1	ინდივიდუალობა: ინდივიდის უზენაესობა ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე.	ჯონ სტიუარტ მილი
	თავისუფლება: არჩევნის შესაძლებლობა, რათა ინდივიდს შეეძლოს საკუთარი ნების შესაბამისად ცხოვრება.	
კონსერვატიზმი	18.2	ედმუნდ ბერკი
	იერარქია: საზოგადოებაში სოციალური გრადაციების ბუნებრივად არსებობა. ძალაუფლებისა და სტატუსის უთანასწორო გადანაწილება.	
სოციალიზმი	18.3	18.4
	თანასწორობა: სახელმწიფოს მხრიდან თანაბარი სოციალური პირობების შექმნა ყველა ინდივიდისთვის.	

(3) 19. მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2020 წლის მონაცემებს. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) 19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?

ა) რელიგიის გავრცელება;

ბ) მმართველობის ფორმები;

გ) მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსი;

დ) არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი.

(1) 19.2 რუკის მონაცემების გამოყენებით შეადარეთ ერთმანეთს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას.

(1) 19.3 რუკის მონაცემებზე დაყრდნობით განიხილეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა. იმსჯელეთ ამ მდგომარეობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე.

(5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და მათი განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზებიდან გამომდინარე *(დავალება 20.2);*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას *(დავალება 20.3);*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ამოცანებისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე *(დავალება 20.1).*

20.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
20.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).* <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> მოსწავლეთა მგრძნობელობის გაზრდა საქართველოში ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციისადმი
20.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> 1. სუფრაჟისტული მოძრაობის შესახებ ფილმის ჩვენება და განხილვა. 2. სასკოლო კონფერენციის მოწყობა თემაზე ,,ფემინისტური მოძრაობის ისტორია“. 3. სასკოლო გამოფენის მოწყობა: ,,გავიცნოთ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1. 2. 3.

(4) 21. გაეცანით გამოსახულ ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

- სამოცდაცხრა წელია ახლა. სამოცდაათ წლად გადავაკეთოთ?
- სანამ არ ავაშენებთ ამ სახლს, მანამდე ვაკეთოთ და ვაკეთოთ, მაშ.

21.1 რომელი ეპოქის საქართველოა ასახული ილუსტრაციაზე? დაასახელეთ ამ ეპოქის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სისტემა.

21.2 ილუსტრაციის გამოყენებით იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ეკონომიკური სისტემის ხარვეზზე.

21.3 დაასახელეთ ალტერნატიული ეკონომიკური სისტემა და იმსჯელეთ მის ძირითად პრინციპებზე.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

,,დაფიქრდით, რას აკეთებს ხალხი დღეს ფეისბუქზე. ისინი უკავშირდებიან მეგობრებს და ოჯახის წევრებს, მაგრამ ამასთანავე ქმნიან საკუთარ სახეს და იდენტობას, რაც გარკვეული აზრით მათი ბრენდია. ისინი უკანვშირდებიან იმ აუდიტორიას, რომელთანაც სურთ კავშირის დამყარება. დღეს მისი არ გამოყენება თითქმის ზარალია.

თუ ამ ფიქრს ადამიანებიდან ისეთ საგნებზე გადაიტანთ, როგორებიცაა მაღაზიები და ბრენდები, მიხვდებით, რომ ყველა ერთი რამის გაკეთებას ცდილობს, რაც არის კომუნიკაცია, რეპუტაციის შექმნა, ურთიერთობების დამყარება ხალხთან და უბრალოდ მეტი ინფორმაციის მიღება“.

ინტერვიუ სოციალური ქსელის ,,ფეისბუქის“ დამფუძნებელთან მარკ ცუკერბერგთან, 2009 წელი.

(1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.

(4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

(9) 23. გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

1957 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ქალაქ ლითლ-როკში აღასრულა უზენაესი სასამართლოს განკარგულება და ეროვნული გვარდიის თანხლებით უზრუნველყო ცხრა ფერადკანიანი მოსწავლის განათლების მიღების უფლება, რომელსაც ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები.

წყაროებზე გადასვლა: 2 3 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3 - 23.7

წყარო N2

,,ჩვენი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველი ემყარება ჭეშმარიტებას, რომ პრეზიდენტი და მთავრობის აღმასრულებელი შტო მხარს დაუჭერს და უზრუნველყოფს ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებებს, თუკი ამის აუცილებლობა იქნება, პრეზიდენტის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით. თუკი პრეზიდენტი ამას არ იზამს, ანარქია დაისადგურებს. უსაფრთხოება არავისთვის იარსებებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მას საკუთარი თავისთვის უზრუნველყოფენ. კანონის მოთხოვნების სწორი აღსრულებისადმი ერის ინტერესი უკან ვერ დაიხევს ცოტა ადამიანის წინააღმდეგობისა და დემონსტრაციის წინაშე. ვერ დავუშვებთ, რომ ბრბოს წესებმა ჩვენი სასამართლოების გადაწყვეტილებები უარყონ“.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვა ლით-როკის ინციდენტთან დაკავშირებით, 1957 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 3 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3 - 23.7

წყარო N3

,,კანონსა და კანონმდებლობას შორის განსხვავება უმნიშნელოვანესია თავად კანონის უზენაესობის ცნების გასაგებად. …კანონი არის სამართლის აბსტრაქტული წესების ერობლიობა, რომელიც თემს/საზოგადოებას ერთად კრავს. პრემოდერნულ საზოგადოებებში სჯეროდათ, რომ კანონს ზურგს უმაგრებდა ავტორიტეტი, რომელიც ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი კანონმდებელი: ან საღვთო ავტორიტეტი, ან უხსოვარი დროიდან არსებული წესი ან ბუნება. მეორე მხრივ, კანონმდებლობა შეესაბამება იმას, რასაც დღეს პოზიტიური კანონი ეწოდება და ის არის პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქცია, ანუ მეფის, ბარონის, პრეზიდენტის, კანონმდებლის ან სამხედრო მეთაურის ძალაუფლება, შეიმუშაოს და აღასრულოს ახალი წესები, რომლებიც პირველ რიგში, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის კომბინაციას ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ კანონის უზენაესობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც კანონის პირველადად არსებული კრებული დამოუკიდებელია კანონმდებლობისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობს, გრძნობს, რომ კანონით აქვს ხელ-ფეხი შეკრული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას, ვინც საკანონმდებლო ძალას ფლობს, არ შეუძლია ახალი კანონების მიღება. არამედ იმას, რომ თუკი ისინი კანონის უზენაესობის ფარგლებში იმუშავებენ, მათ ახალი კანონები იმ პირველადი კანონის მიერ დაწესებული წესების მიხედვით უნდა მიიღონ, და არა საკუთარი ნების მიხედვით. …ამ შემთხვევაში კანონსა და კანონმდებლობას შორის განსხვავება ესადაგება განსხვავებას კონსტიტუციურ და ჩვეულებრივ კანონს შორის, სადაც პირველს ძალაში შესვლისთვის უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს, კერძოდ, საკონსტიტუციო უმრავლესობით მიღება“.

ფრენსის ფუკუიამა ,,პოლიტიკური წესრიგის დასაბამი“, 2011 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 4 5 *დავალებებზე გადასვლა:* 23.1 23.2 23.3 - 23.7

წყარო N4

,,კანონის დანიშნულება ხომ ისაა, რომ უდანაშაულო დაიცვას და სამართლიანობა აღადგინოს მისდამი დაქვემდებარებული ყველა ადამიანისადმი მისი მიუკერძოებელი მიყენების გზით. ხოლო, როდესაც ეს პატიოსნად არ კეთდება, მაშინ დაზარალებულთა მიმართ ომია გაჩაღებული, რაკი ისინი დედამიწაზე უკვე ვეღარავის მიმართავენ სამართლიანობის აღსადგენად, ასეთ შემთხვევაში ერთადერთი საშუალება რჩებათ – ზეცას მიმართონ. ომის მდგომარეობის თავიდან აცილება (როდესაც ზეცის გარდა, სხვა საშველი აღარ რჩება, ქრება ყველა განსხვავება და აღარ არსებობს არანაირი ძალა, რომელიც მოდავეთა მიმართ რაიმე განაჩენს გამოიტანს) ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ადამიანები საზოგადოებას ქმნიან და უარს ამბობენ ბუნებით მდგომარეობაზე. ვინაიდან, როდესაც არსებობს რაღაც ხელისუფლება, რაღაც ამქვეყნიური ძალა, რომელსაც შეუძლია, დაგეხმაროს, თუ მას მიმართავ, მაშინ ომის მდგომარეობის გაგრძელება გამოირიცხება და დავის გადამწყვეტი ეს ძალა ხდება“.

ჯონ ლოკი ,,მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“, 1689 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 5 *დავალებებზე გადასვლა:* 23.1 23.2 23.3 - 23.7

წყარო N5 **კანონის უზენაესობის ინდექსის მსოფლიო რუკა, 2020 წელი.**



წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3 - 23.7*

(1) **23.1 N2 წყაროს მიხედვით:**

ა) მოქალაქეთა ჯგუფებს შეუძლიათ, არ დაემორჩილონ სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ მას არ ეთანხმებიან;

ბ) წესრიგის დასამყარებლად პრეზიდენტის მიერ მის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი;

გ) სასამართლო განჩინების აღსრულება საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნების მთავარი საფუძველია;

დ) პრეზიდენტმა გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ჯგუფის შეხედულება, თუნდაც ის ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ ინტერესს.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.2* *23.3 -23.7*

(1) **23.2 ჯონ ლოკის ტექსტის მიხედვით, რა არის სახელმწიფოს შექმნის ძირითადი მიზანი?**

ა) ადამიანებში ზეციური ძალებისადმი რწმენის გაღვივება;

ბ) მოქალაქეების მიუკერძოებელი დაცვა უსამართლობისაგან;

გ) ადამიანების ნების გაუთვალისწინებლად საერთო წესრიგის დამყარება;

დ) მოქალაქეთა შორის დავების გადაწყვეტა ღვთაებრივი კანონების შესაბამისად.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.3 - 23.7*

(1) 23.3 ჯონ ლოკის ტექსტის მიხედვით რა შედეგი მოჰყვება, თუ ხელისუფლება პატიოსნად არ აღასრულებს სამართალს სახელმწიფოში?

(1) 23.4 ფრენსის ფუკუიამას ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ, რას ნიშნავს კანონის უზენაესობა?

(1) 23.5 ფრენსის ფუკუიამას ტექსტის მიხედვით, რატომ არის აუცილებელი, რომ კანონმდებლობა შეიზღუდოს კონსტიტუციით?

(2) 23.6 N1 და N2 წყაროების ანალიზის საფუძველზე დაასახელეთ კონსტიტუციური უფლებების არსებობისა და კანონის უზენაესობის პრინციპთან ერთად, რა მახასიათებელი აქვს სამართლებრივ სახელმწიფოს. იმსჯელეთ ამ მექანიზმის ეფექტიანობაზე.

(2) 23.7 N5 წყაროზე დაყრდნობით განიხილეთ, როგორი ვითარებაა საქართველოში კანონის უზენაესობის მხრივ. იმსჯელეთ ამ ვითარების განმაპირობებელ მიზეზებზე.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2*